საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№586 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №594 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №594 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 28/12/2016; 010240030.10.003.019661) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების:

1. **მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხას, სამინისტროსა და მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების

მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს;“.

2. მე-11 მუხლის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს მთავრობის მიერ დასამტკიცებელი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ დასამტკიცებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების სამინისტროსთან შეთანხმების უზრუნველყოფა;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**